დამტკიცებულია
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/115 დადგენილებით

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - დოქტორანტურა) მისაღები კონტინგენტის დადგენის, ჩარიცხვის, სწავლის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესს, ასევე ამ პროცესში მონაწილე სუბიექტებს და მათ უფლებამოსილებებს.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უფლებამოსილია შესაბამისი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, რომლის შექმნის და საქმიანობის წესი განისაზღვრება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით (შემდგომში - სადისერტაციო საბჭოს დებულება).
3. ეს დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების დადგენის, ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

მუხლი 2. ვაკანტური ადგილების განსაზღვრა

1. დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მონაწილეობით, მიღების გამოცხადებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე.
1[1]. დოქტორანტურაში ვაკანტური ადგილების სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრა ხდება არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის, აგრეთვე, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**
2. ფაკულტეტის და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისთვის ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, აკადემიურ დეპარტამენტში

წერილობით წარადგენს ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ განაცხადს კვლევის საგნის, თემის სავარაუდო დასახელების და მისი აქტუალურობის მითითებით.
3. შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განაცხადების განხილვას აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭოზე საკითხის გატანის მიზნით, წარუდგენს მოთხოვნას მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შექმნის თაობაზე.
4. დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და საფაკულტეტო კომისიების შექმნის თაობაზე აკადემიური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დეკანი ვიცე-რექტორთან წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს ოქმს და სამსახურებრივ ბარათს ვაკანტური ადგილების გამოყოფისა და საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების მოთხოვნით.
5. დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობას, სწავლის მსურველთა განცხადებების შეტანის და მათი ჩარიცხვის ვადებს, საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების შემადგენლობას და საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების თავმჯდომარის კანდიდატურას/კანდიდატურებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო, დეპარტამენტის წარდგინებით.
6. საფაკულტეტო დროებითი კომისია კომპლექტდება პროფესორებით და/ან ასოცირებული პროფესორებით, არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს შვიდი წევრის შემადგენლობით.
7. აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, დეპარტამენტი უზრუნველყოფს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების, საუნივერსიტეტო საპრეტენზიო კომისიის და უცხოურ ენაში საპრეტენზიო განცხადებების განმხილველი კომისიის შემადგენლობის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.
(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/195 დადგენილება)

მუხლი 3. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის და სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ დაშვების წინაპირობებს.
2. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა (შემდგომში - აპლიკანტი) შესაბამის ფაკულტეტზე უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით;
ბ) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);

გ) შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

გ.ა) კვლევითი პროექტი კვლევის საკითხის, მიზნისა და მიმართულების/კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ;

გ.ბ) უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დოკუმენტი (მოთხოვნა კონკრეტდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობის შესაბამისად);

დ) სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;

ვ) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);

ზ) მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მისი ასლი.

2. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა (შემდგომში - აპლიკანტი) შესაბამის ფაკულტეტზე უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით;

ბ) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);

გ) კვლევითი პროექტი კვლევის საკითხის, მიზნისა და მიმართულების/კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ;

დ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დოკუმენტი (მოთხოვნა კონკრეტდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობის შესაბამისად);

ე) სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები;

ვ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;

ზ) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია (CD);

თ) მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მისი ასლი;

ი) შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)

3. იმ შემთხვევაში თუ პირს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, ვალდებულია წარმოადგინოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა,

რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ.
5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი დარგობრივად უნდა შეესაბამებოდეს არჩეული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
6. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში – სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აღნიშნული მასალების დედნები და მათი ასლები.
7. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტზე, დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ. შემოწმების შემდეგ დოკუმენტის დედანი უბრუნდება წარმომდგენს, ხოლო ასლი რჩება პირად საქმეში.
8. დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული განცხადება დანარჩენ დოკუმენტებთან ერთად უნივერსიტეტის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის (eFlow) მეშვეობით ეგზავნება უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს. რეგისტრირებული განცხადება რექტორის რეზოლუციით შესამოწმებლად გადაეცემა დეპარტამენტს.
9. დოქტორანტურაში ჩარიცხვის სავალდებულო პირობას წარმოადგენს კონკრეტულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული წინაპირობის დაკმაყოფილება.
10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. შესაბამისი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში აპლიკანტი უცხოურ ენაში აბარებს შესაბამის გამოცდას. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება, მიღებული აქვს შესაბამის უცხოურ ენაზე, გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა არ მოეთხოვება.
10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დოკუმენტის წარმოდგენა. შესაბამისი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში აპლიკანტი უცხოურ ენაში აბარებს შესაბამის გამოცდას. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება, მიღებული აქვს შესაბამის უცხოურ ენაზე, გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა არ მოეთხოვება. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**

11. გამოცდა უცხოურ ენაში ტარდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი წესით. უცხოურ ენაში გამოცდაზე მინიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 51%-ს.
12. გასაუბრების ფორმატი (საკითხები, შეფასების კრიტერიუმები) განისაზღვრება სადოქტორო პროგრამის შესაბამისად, რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.
13. საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, ატარებს საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომას. სხდომაზე განიხილება აპლიკანტთა განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ტარდება მათთან გასაუბრება, რომლის შედეგად მიიღება დოქტორანტურაში ჩარიცხვაზე კომისიის დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაცია. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის გადაწყვეტილებები, სათანადო დასაბუთებით, აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
14. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ აპლიკანტზე უნდა მიეთითოს:
ა) დოქტორანტურის პროგრამის დასახელება;
ბ) გვარი, სახელი, პირადი ნომერი;
გ) განათლება;
დ) მოკლე ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
ე) უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა ან უცხოურ ენაში გამოცდის შედეგები (საჭიროების შემთხვევაში);
ვ) აპლიკანტის დოქტორანტურაში ჩარიცხვაზე კომისიის დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაცია.
15. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმ(ებ)ს ხელს აწერენ საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
16. საფაკულტეტო დროებითი კომისის სხდომის ოქმის ამონაწერი (ჩასარიცხ აპლიკანტთა სია) ქვეყნდება არაუგვიანეს სხდომის ჩატარებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
17. საფაკულტეტო დროებითი კომისიის გადაწყვეტილება, დოქტორანტურაში ჩარიცხვაზე უარყოფითი რეკომენდაციის მიღების თაობაზე, შესაძლებელია ერთჯერადად გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიის სახელზე წარდგენილი წერილობითი პრეტენზიის ფორმით, წინამდებარე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შედეგების გამოცხადებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
18. საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიის მიერ, გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება საჩივრის წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში. საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით ფორმირდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ აპლიკანტთა სია.
19. საფაკულტეტო დროებითი კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აპლიკანტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულება.

20. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) და აპლიკანტთა ხელშეკრულებები, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივ ბარათთან ერთად (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს), წარედგინება დეპარტამენტს, რომელიც რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ბრძანების პროექტს აპლიკანტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ.
21. ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/195 დადგენილება)

მუხლი 4. სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცება

1. სწავლების პირველი სემესტრის დაწყებიდან ერთ თვეში, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს წინადადებებს დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების თაობაზე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას დეკანი სამსახურებრივ ბარათთან ერთად წარადგენს დეპარტამენტში. ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დეპარტამენტი ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების შესახებ.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი (მათ შორის მოწვეული), ემერიტუსი, აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს დოქტორანტის საკვლევი თემის მიმართულებით სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და უზრუნველყოფს:
ა) დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების კოორდინაციას;
ბ) დოქტორანტებთან რეგულარულ კონსულტაციებს კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე, აგრეთვე, კვლევის დიზაინის, კვლევის მეთოდების, პროფესიული განვითარების, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესის, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად (Peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების და სხვა რელევანტური მიმართულებით.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელი) არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო (მთავარი ან უფროსი მეცნიერ-

თანამშრომელი) პერსონალი (გარდა საერთაშორისო (თანა)ხელმძღვანელისა). სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

გ) აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები).

(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)

2[1]. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს: უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მქონე, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უნივერსიტეტთან გაფორმებული შესაბამისი ინსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**

3. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს: უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილებით, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უნივერსიტეტთან გაფორმებული შესაბამისი ინსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე. თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს:

ა) დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების კოორდინაციას;

ბ) დოქტორანტებთან რეგულარულ კონსულტაციებს კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე, აგრეთვე, კვლევის დიზაინის, კვლევის მეთოდების, პროფესიული განვითარების, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესის, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად (Peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების და სხვა რელევანტური მიმართულებით;

გ) უნივერსიტეტს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას და ვალდებულებების შესრულებას.

(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)

3[1]. კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, შესაძლებელია დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით (საერთაშორისო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი) მოწვეული იქნეს უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე, რომელიც აკმაყოფილებს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისათვის ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე ვრცელდება ამ მუხლით დადგენილი შესაბამისი უფლებამოსილებები და ვალდებულებები. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**

4. სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი დამტკიცებიდან, ორი კვირის განმავლობაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში წარადგენს დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1).

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურით, სწავლების მეორე სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში ხდება დოქტორანტ(ებ)ისთვის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცება. უცხოენოვანი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის თემის დამტკიცება განხორციელდეს, როგორც ქართულ ასევე სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე.

(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/195 დადგენილება)

მუხლი 5. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა/დამატება და სადისერტაციო თემის შეცვლა/დასახელების კორექტირება

1. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, დოქტორანტს უფლება აქვს, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, განცხადებით მიმართოს რექტორს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების შესახებ. სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილების საფუძველი შეიძლება აგრეთვე იყოს მის მიერ წერილობით წარმოდგენილი და აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის დადებითი რეზოლუციის

მქონე პირადი დასაბუთებული მოთხოვნა.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა/დამატების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცებისთვის ამ დებულებით განსაზღვრული წესით. აღნიშნულ საკითხზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანხმობა. დეკანი, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის/დამატების შესახებ სამსახურებრივ ბარათს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად წარადგენს დეპარტამენტში, რის საფუძველზეც დეპარტამენტი ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს.
3. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით, სადისერტაციო თემის დამტკიცებისათვის დადგენილი წესით, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემა (გარდა დამამთავრებელი სემესტრისა) ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება იმავე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
4. წინასწარი დაცვის შემდგომ კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირება.
5. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო თემის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, სწავლების გეგმურ ვადაში.
6. სადისერტაციო თემის შეცვლის შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ გავლილი კვლევითი კომპონენტის ეტაპები ექვემდებარება აღიარების პროცედურის გავლას, რომლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს სწავლების პერიოდში გავლილი კვლევითი კომპონენტის ეტაპების ხელახლა გავლის აუცილებლობა.
7. სადისერტაციო თემის შეცვლის/დასახელების კორექტირების თაობაზე რექტორის ბრძანების პროექტს ამზადებს დეპარტამენტი.

მუხლი 6. დოქტორანტურაში სწავლა

1. დოქტორანტურაში სწავლების პროცესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტებით.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავება, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირება და განვითარება.

5. როგორც წესი, დაუშვებელია კვლევითი კომპონენტის ეტაპების – დისერტაციის წინასწარი დაცვა და დისერტაციის დასრულება და დაცვის პარალელურად კვლევით კომპონენტის სხვა ეტაპების ან/და სასწავლო კომპონენტების გავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული აუცილებლობა, დოქტორანტისგან დამოუკიდებლად, განპირობებულია სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირებით.
6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში; საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დებულების დანართის შესაბამისად (დანართი 2).
7. სწავლების პირველ წელს დოქტორანტი, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, ადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტის დეტალურ გეგმას, რომელიც მოიცავს დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალს: შესავალი, სამეცნიერო სიახლე, აქტუალურობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა.
8. სადისერტაციო კვლევის პროექტის სტრუქტურა შედგება შემდეგი საკითხებისგან:
ა) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის ადგილი თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის ეს საკითხი აქტუალური);
ბ) კვლევის მეთოდოლოგია;
გ) ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორატი მიზნად);
დ) დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;
ე) დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმა);
ვ) კვლევის მოსალოდნელი შედეგები (რამდენად შეაქვს ამ კვლევას წვლილი დარგის განვითარებაში).
9. დოქტორანტის მიერ შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ეტაპებია:
ა) პროექტი/პროსპექტუსი;
ბ) კოლოკვიუმი -1, 2, 3;
გ) დისერტაციის წინასწარი დაცვა;
დ) დისერტაციის დასრულება და დაცვა.
10. გამონაკლის შემთხვევაში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დადგინდეს კვლევითი კოპონენტების მითითებულისგან განსხვავებული შემადგენლობა. ყოველი სამეცნიერო კომპონენტის ეტაპი წარმოადგენს შემდეგი ეტაპის სავალდებულო წინაპირობას.
11. დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ეტაპების შესრულება კომპონენტის ეტაპის დასრულების შემდეგ დასტურდება ელექტრონულ უწყისში სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ.
12. კოლოკვიუმების შეფასება ხორციელდება კომისიური წესით. კომისია 5-7 კაცის შემადგენლობით მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, აკადემიური დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე. კოლოკვიუმის მიმდინარეობა იწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

13. იმ შემთხვევაში თუ კოლოკვიუმის მოხსენება ტარდება უცხო ენაზე (უცხოენოვანი პროგრამები), აღნიშნული პროცესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს თარჯიმნის დახმარებით.
14. რექტორის ნებართვით, დოქტორანტმა შეიძლება ჩაატაროს კოლოკვიუმი ონლაინ რეჟიმში, კომისიური წესით.

მუხლი 7. დისერტაციის წინასწარი დაცვა

1. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა, ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, არის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. წინასწარი დაცვა ტარდება დამამთავრებელ სემესტრში და მისი ჩატარების ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
2. დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვამდე წარმოადგინოს სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული, ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ ხელმოწერილი დისერტაციის და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარი.
3. დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (დანართი 3, 4); წინასწარ დაცვაზე წარდგენილი დისერტაციის აკინძვისას არაა საჭირო გარე ყდის გამოყენება.
4. ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ შრომების, პატენტების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.
5. წინასწარი დაცვის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის სწავლული მდივანი.
6. წინასწარ დაცვას შეიძლება ესწრებოდნენ შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები, ემერიტუსები და სხვა დაწესებულებ(ებ)ის სპეციალისტები. სხდომა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. სხდომის თავმჯდომარე უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი. სავალდებულოა სხდომას დაესწროს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი.
7. დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
8. დისერტაციის დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები.
9. წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმს ხელმოწერით ადასტურებს აგრეთვე აკადემიური დეპარტამენტის უფროსი. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა იწერება ელექტრონულად.

ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში. ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს აღნიშნული ოქმის და ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ დოქტორანტის დახასიათების ერთი ეგზემპლარის ფაკულტეტის სწავლული მდივნისათვის გადაცემას ერთი კვირის ვადაში.
10. გამონაკლის შემთხვევაში, აკადემიური დეპარტამენტის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული რექტორის ნებართვის პირობებში, დოქტორანტმა შესაძლებელია წინასწარი დაცვის ეტაპი გაიაროს დისტანციურად, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. ამასთან, დაუშვებელია წინასწარი დაცვის ეტაპის განხორციელების მიზნით აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებული სხდომის სრული შემადგენლობით დისტანციური ფორმით ჩატარება.

მუხლი 8. სადისერტაციო ნაშრომის და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და შემოწმება

1. დისერტაციის წინასწარი დაცვის შემდგომ სამი კვირის ვადაში დოქტორანტმა ფაკულტეტის სწავლულ მდივანთან უნდა წარადგინოს:
ა) დოქტორანტის განცხადება დეკანის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ;
ბ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული, ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ ხელმოწერილი დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
გ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 20-25 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
დ) ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ დოქტორანტის დახასიათება დოქტორანტურაში სწავლისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი საქმიანი თვისებების შესახებ (2 ეგზემპლარი);
ე) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი ინფორმაცია (სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება), გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია, დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, მათ შორის დოქტორანტის სწავლის პერიოდში დადგენილი გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი უნდა იყოს თანაავტორ(ებ)ის გარეშე. დოქტორანტის მიერ სწავლის პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიიდან, სულ მცირე ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, Google Scholar ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის ბაზაში. ინფორმაციული მასალების სია დამოწმებული უნდა იქნეს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;

ვ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (პირები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხოეთში, წარმოადგენენ მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც გაცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);
ზ) ბიოგრაფიული ცნობები (CV).
2. წინასწარ დაცვის შემდეგ 1 კვირის ვადაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება სწავლულ მდივანს გადასცემს ინფორმაციას დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი; კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები), აგრეთვე ინფორმაციას დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ.
3. დოქტორანტის მიერ დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, ფაკულტეტის სწავლული მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატის არარსებობაზე შესამოწმებლად გადაცემას.
4. სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატის არარსებობაზე შემოწმება ხორციელდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
5. სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატის არარსებობაზე შემოწმების თაობაზე დასკვნას 3 დღის ვადაში ამზადებს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი.
6. პლაგიატის დადასტურების ან მსგავსების დადგენილი ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი არ იქნება წარდგენილი დაცვაზე. დოქტორანტს უფლება აქვს, სწავლების დამატებითი ვადების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავება.
7. პლაგიატის ან/და მსგავსების ნორმის გადაჭარბების არ არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის დასკვნა 3 დღის ვადაში ფაკულტეტის სწავლული მდივნის მიერ შესამოწმებლად გადაეცემა დეპარტამენტს. დეპარტამენტი უფლებამოსილია, ასევე, ფაკულტეტიდან გამოითხოვოს ინფორმაცია დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი; კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები), აგრეთვე, ინფორმაცია დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ.
8. დეპარტამენტი ორი კვირის ვადაში უზრუნველყოფს დოკუმენტაციის შემოწმებას და ვიზირებას.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობის და რეცენზენტების დამტკიცება

1. დისერტაციის წინასწარი დაცვიდან ორი კვირის ვადაში ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და სწავლული მდივნის

თანამონაწილეობის საფუძველზე, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის (შემდეგში - დაცვის კოლეგია) წევრობის, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების კანდიდატურებს, რომლებიც შეირჩევიან ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის მიერ და ასევე განისაზღვრება დისერტაციის დაცვის თარიღი და ჩატარების ადგილი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით. შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი ვიზირებული უნდა იყოს დეპარტამენტის უფროსის მიერ.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია იქმნება თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის და მისი შემადგენლობა უნდა შეირჩეს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

3. რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მათ შორის მოწვეული, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის მთავარი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი), რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში აქვს სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

3. თითოეულ სადისერტაციო ნაშრომზე მტკიცდება და მოიწვევა არანაკლებ ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო რეცენზენტი. საერთაშორისო რეცენზენტი სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი. რეცენზენტი აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს და მზაობას დაცვისათვის. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც გულისხმობს, რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვას. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**

4. თითოეულ სადისერტაციო ნაშრომზე მტკიცდება არანაკლებ ორი რეცენზენტი.

4. ადგილობრივი რეცენზენტი შეიძლება იყოს ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, ხოლო საერთაშორისო რეცენზენტი - უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი. ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტი აღჭურვილი უნდა იყოს დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**

5. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი. დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი

და იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, აგრეთვე, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს ირჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია თავისი შემადგენლობიდან, დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.
(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/195 დადგენილება)

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისთვის გადაცემა

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დაცვის კოლეგიის დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფაკულტეტის სწავლული მდივანი რეცენზენტებს გადასცემს დისერტაციისა და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარს.
2. რეცენზენტებს დასკვნის წარმოსადგენად ეძლევათ 20 კალენდარული დღის ვადა.
3. რეცენზენტმა წერილობითი დასკვნა (რეცენზია) უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად და დააბრუნოს დისერტაციის ეგზემპლარი. რეცენზენტის დასკვნის (რეცენზიის) თითო ეგზემპლარს ფაკულტეტის სწავლული მდივანი გადასცემს დაცვის კოლეგიის მდივანს და დოქტორანტს.
4. რეცენზენტის დასკვნაში (რეცენზიაში) უნდა აისახოს: სადისერტაციო თემის აქტუალურობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, სამეცნიერო კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა, ფინანსური მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), დისერტაციის გაფორმების ხარისხი. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს რეცენზენტის აზრი – აკმაყოფილებს თუ არა დისერტაცია წაყენებულ მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. რეცენზენტის დასკვნა უნდა დადასტურდეს ხელმოწერით.
5. თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), სათანადო ცნობის ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ მტკიცდება სხვა რეცენზენტი ამ დებულებით დადგენილი წესით.
5. თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), სათანადო ცნობის ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ მტკიცდება სხვა შესაბამისად, ადგილობრივი ან საერთაშორისო რეცენზენტი ამ დებულებით დადგენილი წესით.**(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**
6. რეცენზენტების მიერ დადებითი დასკვნების წარმოდგენის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი იქნება დასაცავად.

7. სადისერტაციო ნაშრომის ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფით დასკვნის შემთხვევაში, ამ დებულებით დადგენილი წესით მტკიცდება მესამე რეცენზენტი, რომლის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი იქნება დასაცავად.
7. სადისერტაციო ნაშრომის ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფით დასკვნის შემთხვევაში, ამ დებულებით დადგენილი წესით მტკიცდება მესამე რეცენზენტი (შესაბამისად, ადგილობრივი ან საერთაშორისო), რომლის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი იქნება დასაცავად. **(ვრცელდება 2024 წლის 30 აგვისტოს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე)**
8. სადისერტაციო ნაშრომის ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე და უბრუნდება დოქტორანტს, რომელსაც უფლება აქვს, სწავლების დამატებითი ვადების გათვალისწინებით, გააგრძელოს მუშაობა სადისერტაციო ნაშრომზე.
(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/195 დადგენილება)

მუხლი 11. დისერტაციის წარდგენა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიაზე

1. ამ დებულების მე-10 მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეცენზენტების დასკვნების წარმოდგენიდან 3 დღის ვადაში, ფაკულტეტის სწავლული მდივანი უზრუნველყოფს:
ა) რეცენზენტების დასკვნების, სადისერტაციო ნაშრომის, ავტორეფერატის და დოქტორანტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის მდივნისათვის;
ბ) დისერტაციისა და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარის და მათი ელექტრონული ვერსიების გადაცემას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის;
გ) დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიების განთავსებას ფაკულტეტის ვებგვერდზე.
2. სადისერტაციო ნაშრომის და დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ დაცვის კოლეგიის მდივანი, 3 დღის ვადაში, ამოწმებს დოკუმენტაციას, ავტორეფერატის და დისერტაციის გაფორმების მოთხოვნებთან შესაბამისობას, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან დისერტაციის შესაბამისობას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარის გადაცემას დაცვის კოლეგიის წევრებისათვის განსახილველად.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრები დისერტაციასა და დოკუმენტაციას უნდა გაეცნონ დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.
4. დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე გამოიცემა რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო თემის დასახელება, დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სტუ-ში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანების ნომერი, სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი, დაცვის კოლეგიის შემადგენლობა (თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, რეცენზენტების და მოწვეული წევრების მითითებით), დაცვის თარიღი, დრო და ადგილი.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ბრძანების პროექტის მომზადებას და ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება ფაკულტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებით და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით.

მუხლი 12. დისერტაციის დაცვის პროცედურა

1. დისერტაციის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება დაცვის კოლეგიის სხდომაზე. დისერტაციის დაცვის სხდომა საჯაროა.
2. თუ დისერტაციის დაცვას, საპატიო მიზეზით, არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა, ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი რეცენზენტი, დაცვა გადაიდება და დაინიშნება დაცვის ახალი თარიღი დადგენილი წესით.
3. თუ დოქტორანტი დადასტურებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადება დისერტაციის დაცვაზე ან კოლეგია არაუფლებამოსილი იქნება კვორუმის არარსებობის გამო ან იარსებებს დაცვის კოლეგიის მუშაობის გაგრძელების დამაბრკოლებელი სხვა ობიექტური გარემოება, დაინიშნება დაცვის ახალი თარიღი დადგენილი წესით.
4. დაცვა ტარდება ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოქტორანტურის პროგრამის შემთხვევაში დაცვა ჩატარდება სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე (აუცილებლობის შემთხვევაში თარჯიმნის მონაწილეობით).
5. სხდომას ხსნის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე, იგი ადასტურებს კვორუმის არსებობას (სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა) და დამსწრეთ აცნობს სხდომის დღის წესრიგს.
6. დოქტორანტისა და ოფიციალური რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე, დაცვის კოლეგიის წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს დაცვის კოლეგია თავმჯდომარის წინადადებით.
7. სხდომის მდივანი აცხადებს დოქტორანტის ვინაობას, მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, მის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტებისა და კვლევითი კომპონენტის ეტაპის შესრულების - წინასწარი დაცვის შედეგებს, დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას, დამსწრეთ აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და დისერტაციის დაცვის პროცედურას.
8. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს, ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებს და კითხულობს დასკვნებს.
9. დოქტორანტი პასუხობს დაცვის კოლეგიის წევრებისა და დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე დაცვის კოლეგიას გააცნობს დისერტაციაზე გამოხმაურებებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად

უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია, პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც დაცვის კოლეგიის წევრებს, ისე სხვა დამსწრე პირებს.
10. დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები.
11. დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება აუდიო/ვიდეოტექნიკური საშუალებებით, იწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD) და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 13. შეფასების პროცედურა

1. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე, კოლეგიის თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით (დანართი 2).
2. ამ პროცედურის ჩატარების მიზნით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით დაცვის კოლეგია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს შეფასებების დამთვლელ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურის კონფიდენციალურობაზე.
3. შეფასებების დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი დოკუმენტების შედგენასა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე.
4. პროცედურის დაწყების წინ დაცვის კოლეგიის მდივანი კოლეგიის წევრებს აცნობს აღნიშნულ პროცედურასა და შეფასების ბიულეტენის შევსების წესს.
5. დაცვის კოლეგიის წევრებმა პროცედურაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პერსონალურად. დაუშვებელია შეფასების უფლების გადაცემა სხვა პირზე.
6. დაცვის კოლეგიის წევრთა შეფასებების საფუძველზე განისაზღვრება მათ მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული, რის საფუძველზეც დაიწერება საბოლოო შეფასება ამ მუხლის მე-8 ან მე-9 პუნქტის შესაბამისად.
7. დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.
8. დადებითი შეფასებებია:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite)–შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

9. უარყოფითი შეფასებებია:

ა) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა;

ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

10. შეფასებების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე დაცვის კოლეგიას უცხადებს პროცედურის შედეგებს. დაცვის კოლეგიის დამსწრე წევრთა 2/3-ის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე და წევრები.

11. შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, ოქმი და ბიულეტენები ინახება დაცვის კოლეგიაში დოქტორანტის დოკუმენტებთან ერთად.

12. თუ შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი ვერ დამტკიცდა, შეფასების პროცედურა უნდა განმეორდეს ან გადაიდოს შემდეგი სამუშაო დღისათვის. შეფასების დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს ახალი ბიულეტენების გადაცემას დაცვის კოლეგიის წევრებისათვის და დაცვის კოლეგია ხელახლა აწყობს ფარულ პროცედურას.

13. შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმის დამტკიცების შემდეგ დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე საბოლოო გადაწყვეტილებას აცნობს დოქტორანტს და აუდიტორიას.

14. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია განუსაზღვრავს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პირობებსა და ვადებს (სტატუსის შენარჩუნებით), ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების ან განმეორებით „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

15. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასების მიღებისას, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია შეფასებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ფაკულტეტის სწავლული მდივნის მიერ წარედგინება შესაბამის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

16. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე საუნივერსიტეტი სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დაცვის შეფასება აისახება შეფასების ელექტრონულ უწყისში.

17. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან ან გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში უზრუნველყოფს გადაწყვეტილებისა და საექსპერტო კომისიის/ექსპერტის დასკვნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაგზავნას შესაბამისი ფაკულტეტისთვის.

18. საექსპერტო კომისიის/ექსპერტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების შესაძლებლობის თაობაზე რეკომენდაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელის მონაწილეობით, მიღებული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს წინადადებას სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებისა და დოქტორანტის მიერ გასავლელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ეტაპების თაობაზე დოქტორანტის სწავლების დამატებითი ვადების გათვალისწინებით. თუ დარჩენილი სწავლების დამატებითი ვადა არ არის საკმარისი ან სწავლების დამატებითი ვადის ამოწურვის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებისა და დაცვის მიზნით განისაზღვრება საჭირო ვადა, მაგრამ არა უმეტეს ორი სემესტრისა, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

19. ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე დეპარტამენტში წარადგენს სამსახურებრივ ბარათს და შესაბამის დოკუმენტაციას დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის დამატებით სემესტრში/სემესტრებში გაგრძელების თაობაზე, რის საფუძველზე, დეპარტამენტი ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების პროექტს.

20. გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვა და ხარისხის მინიჭება ხორციელდება ამ დებულებით და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

21. გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც იყო დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრი.

22. საექსპერტო კომისიის/ექსპერტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების შესაძლებლობის თაობაზე რეკომენდაციის არარსებობის ან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე განმეორებით უარის თქმის შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის №01-05-04/37 დადგენილება)

მუხლი 14. დოქტორანტურის პროცესების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. დოქტორანტურის პროცესების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება, აკადემიური დეპარტამენტი და ფაკულტეტის სწავლული მდივანი.

2. ფაკულტეტის სწავლულ მდივნად შეიძლება აირჩეს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი შესაბამის აკადემიური თანამდებობაზე არჩევის დარჩენილი ვადით.

3. ფაკულტეტის სწავლულ მდივანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

4. ფაკულტეტის სწავლული მდივნის უფლებამოსილებებია:

ა) სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვაზე წარდგენის ორგანიზება;

ბ) დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვა და შემოწმება;

გ) Strikeplagiarism.com-ის ოპერატორისათვის სადისერტაციო ნაშრომის შესამოწმებლად გადაცემა;
დ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის დეპარტამენტისათვის გადაცემა;
ე) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისათვის გადაცემა;
ვ) რეცენზენტების მიერ წარმოდგენილი დასკვნების დაცვის კოლეგიის მდივნისათვის გადაცემა;
ზ) ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტია „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის გადაცემა დაცვის კოლეგიისათვის;
თ) ავტორეფერატისა და სადისერტაციო ნაშრომის გადაცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის და მათი განთავსება ფაკულტეტის ვებგვერდზე;
ი) დაცვის კოლეგიის მიერ დოქტორანტის შეფასების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის და დოკუმენტაციის გადაცემა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთვის;
კ) ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
5. ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების უფლებამოსილებებია:
ა) აპლიკანტის საბუთების შემოწმება;
ბ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება;
გ) კოლოკვიუმების ჩატარების ორგანიზება (კომისიის შემადგენლობის, სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის განსაზღვრა), ასევე შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
დ) სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება;
ვ) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების (ოქმის) საფუძველზე ბრძანების პროექტის მომზადება დოქტორის დიპლომის გაცემისათვის;
ზ) ფაკულტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის დროული განთავსების უზრუნველყოფა;
თ) სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის, შეცვლის, დამატების შესახებ საკითხის მომზადება;
ი) სადისერტაციო თემის დამტკიცების, შეცვლის, დასახელების კორექტირების შესახებ საკითხის მომზადება;
კ) ამ დებულებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით აკადემიური დეპარტამენტის სხდომების ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო აქტივობების განხორციელება;
ლ) ფაკულტეტის დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებებია:
ა) დოქტორანტურაში მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მიზნით, აკადემიურ დეპარტამენტში წარმოდგენილი სავარაუდო სადისერტაციო თემის/თემების განხილვაში მონაწილეობა;
ბ) საფაკულტეტო დროებით კომისიაში მონაწილეობა;

გ) პროგრამაზე მობილობით გადმოსული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების და არჩეული პროგრამის თავსებადობის დადგენაში მონაწილეობა;
დ) სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას ან პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის პროგრამასთან თავსებადობის დადგენაში მონაწილეობა;
ე) კანონმდებლობით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.
7. აკადემიური დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილებებია:
ა) აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების (ვაკანსიების) შესახებ საკითხის განხილვა;
ბ) აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტ(ებ)ის სავარაუდო ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემ(ებ)ის განხილვა;;
გ) დოქტორანტის წინასწარი დაცვის ორგანიზება და უზრუნველყოფა;
დ) კანონმდებლობით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით, ამ დებულებით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 15. დოქტორანტურა პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით, საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივად განახორციელოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საკითხები პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით განისაზღვრება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა ან/და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.
4. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობისას დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოქტორანტურაში მიღების პირობებს.
5. უნივერსიტეტის დოქტორანტობის მსურველი პირის განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის ხელმძღვანელობაზე.

6. პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ უნივერსიტეტის პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო პერსონალმა.

მუხლი 16. მობილობა დოქტორანტურაში

1. მობილობის უფლება დოქტორანტს წარმოეშობა სწავლების ერთი წლის შემდეგ. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა). მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
2. შიდა მობილობა ტარდება უნივერსიტეტში „სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის“ შესაბამისად.
3. დოქტორანტურაში მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის არსებობის დროს აგრეთვე მხედველობაში მიიღება:
ა) სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
გ) სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები, პროექტები და ა.შ).
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების რაოდენობას, აგრეთვე პროგრამის დასრულების მიზნით ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას და შესასრულებელი კვლევითი სამუშაოს მოცულობას ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

მუხლი 17. დოქტორანტის პირადი საქმე

1. დისერტაციის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის არქივში რჩება დოქტორანტის პირადი საქმე, რომელშიც შედის:
ა) ამ დებულებით განსაზღვრული დოქტორანტის მიერ შემოტანილი და დისერტაციის დაცვისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია;
ბ) დოქტორანტის შესახებ გამოცემული ბრძანებები/სამართლებრივი აქტები;

გ) დოქტორანტის მიმართ შესაბამისი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დაცვის კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (სხდომის ოქმები/ოქმის ამონაწერები);
დ) რეცენზენტების დასკვნები;
ე) დაცვის კოლეგიის შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი შეფასების ბიულეტენებთან ერთად;
ვ) დისერტაციის დაცვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმები დამოწმებული შესაბამისად სადისერტაციო საბჭოს/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის მდივნის მიერ;
ზ) დისერტაციის დაცვასთან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.
2. მყარ საქაღალდეში აკინძული დოკუმენტაცია ფაკულტეტის არქივში ინახება სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, დოქტორანტის მიერ არანაკლებ ერთი სტატიის ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნების ნაწილში, ამოქმედდეს 2021/2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე. 2021/2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრამდე ჩარიცხული დოქტორანტების ვალდებულებას წარმოადგენს, სწავლის პერიოდში არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, რომელთაგან ერთი უნდა იყოს თანაავტორ(ებ)ის გარეშე, ხოლო ერთი - გამოქვეყნებული საზღვარგარეთ, მაღალრეიტინგულ რეფერირებად გამოცემაში.
2. ამ დებულებით დადგენილი სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვის პროცედურები და ვადები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც ამ დებულების ძალაში შესვლამდე გავლილი აქვთ წინასწარი დაცვა.
(უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის №01-05-04/37 დადგენილება)

მუხლი 19. დებულების ძალაში შესვლა

1. დებულება ძალაშია დამტკიცების დღიდან.